საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თავფარავნელი ჭაბუკი“

„თავფარავნელი ჭაბუკი“, ქართული ხალხური ბალადა. გავრცელებულია უმთავრესად აღმ. საქართველოში. ბალადა მითოლ. ხასიათისაა. ვ. კოტეტიშვილი მის სიმბოლიკას მსოფლიოს ფოლკლორულ ძეგლებთან ანალოგიის მეთოდით ხსნიდა (მაგ., ბერძნ. მითოსი ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ). ვ. კოტეტიშვილის აზრით, „თ. ჭ." ზღვის საკულტო წრესთან არის დაკავშირებული, ხალხ. გადმოცემებზეა დამყარებული ბალადის ორი ძირითადი სიმბოლოს – დოლაბისა და წითელი მოვის პერანგის მისეული ახსნა: დოლაბი საკულტო ქვაა, რ-ის თაყვანისცემა გავრცელებული იყო სწორედ თავფარავნის ტბის რეგიონში. უძველესი წარმოდგენით, ქვები ღვთაებების სიმბოლოებია, როგორც ციდან ჩამოცვენილებს, მათ ზეციდან გამოგზავნილებად თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ. ასეთია, მაგ., კოპალეს ქვა ფშავში. წითელი მოვის პერანგი კი სიკვდილის, უბედურების სიმბოლოა. ბალადაში მზისა და მთვარის სიმბოლური მნიშვნელობანი შენაცვლებულია: მზე აღნიშნავს ვაჟს, ხოლო მთვარე – ქალს. „თ. ჭ." მკვლევრებს (მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე, გ. კალანდაძე) სატრფიალო ბალადად აქვთ მიჩნეული.

ლიტ.: ა ლ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, თბ., 1992; კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე გ., ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957; კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952.